

# მოწვევა სატენდერო წინადადების წარმოდგენაზე

თარიღი

2019 წ. 12 დეკემბერი

სესხის # და დასახელება

სესხი #. 3441-GEO: ურბანული მომსახურებების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა – მე-6 ტრანში

კონტრაქტი # და დასახელება

UWSCG-ICB-G-02-B.Loaders-2019 – მექანიზმების შესყიდვა -

სატენდერო წინადადების წარმოდგენის ბოლო ვადა

ექსკავატორ-დამტვირთველი  
2020 წ. 23 იანვარი; 16:00 სთ

1. საქართველომ, აზიის განვითარების ბანკისაგან (ADB) ურბანული მომსახურებების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამის (USIIP) მე-6 პროექტის დაფინანსებისათვის, მიიღო სესხი. კომპანია გეგმავს, სესხის ნაწილი გამოიყენოს ზემოხსენებული მექანიზმების შესყიდვის კონტრაქტის — **ექსკავატორ-დამტვირთველი, კონტრაქტი UWSCG-ICB-G-02-B.Loaders-2019** — ფარგლებში. ტენდერი ღიაა პრეტენდენტებისათვის აზიის განვითარების ბანკის უფლებამოსილი ქვეყნებიდან.

2. საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია (UWSCG) (შემსყიდველი) იწვევს დალუქულ სატენდერო წინადადებებს უფლებამოსილი პრეტენდენტებისაგან, რათა მოაწოდოს 10 ერთეული ექსკავატორ-დამტვირთველი (პატარა) და 4 ერთეული ექსკავატორ-დამტვირთველი (დიდი) საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ტერიტორიაზე გორში, საქართველო.

საქონლისა და დაკავშირებული მომსახურებების მოკლე აღწერა შემდეგია:

- 4 ზოგადი ექსკავატორ-დამტვირთველი მუშა წონით: მინიმუმ 9.5 — მაქსიმუმ 11 ტონა.
- 10 ერთეული ექსკავატორ-დამტვირთველი (პატარა) მუშა წონით: მინიმუმ 8 — მაქსიმუმ 9.5 ტონა.
- 1-წლიანი გარანტია

3. საერთაშორისო კონკურენტუნარიანი ტენდერი ჩატარდება აზიის განვითარების ბანკის შესყიდვების სახელმძღვანელო ინსტრუქციების შესაბამისად „ერთეულებიანი: ერთკონვერტიანი“ ტენდერის ფარგლებში და ღიაა უფლებამოსილი ქვეყნების ყველა პრეტენდენტისათვის, როგორც სატენდერო დოკუმენტებშია აღწერილი.

მინიმალური, მთავარი საკვალიფიკაციო მოთხოვნები მოიცავს არა მხოლოდ შემდეგს:

- **ოპერირების მოცულობა (საშუალო წლიური ბრუნვა): 2,000,000.00 \$** მინიმალური საშუალო წლიური ბრუნვა, რომელიც გამოითვლება საერთო გადახდების სახით, რაც პრეტენდენტმა მიიღო **ბოლო 3 წლის განმავლობაში** დასრულებული ან მიმდინარე კონტრაქტების ფარგლებში. (ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში: თითოეულმა პარტნიორმა უნდა დააკმაყოფილოს მოთხოვნის 25%, ხოლო ერთმა პარტნიორმა — 40%);
- **ფულადი სახსრების ბრუნვა:** ლიკვიდური აქტივების, საკრედიტო ხაზებისა და სხვა ფინანსების არსებობა ან მათზე წვდომა, რაც საკმარისი იქნება, რათა დაკმაყოფილდეს ფულადი სახსრების ბრუნვის 700,000.00 \$ მოთხოვნა; და
- **საკონტრაქტო გამოცდილება:** სულ მცირე 1 კონტრაქტის (ღირებულებით 1,000,000 აშშ დოლარი) წარმატებით დასრულება მთავარი მომწოდებლის სახით **ბოლო 3 (სამი) წლის განმავლობაში**, რომლის ბუნება, სირთულე მსგავსია მე-6 სექციაში (მოწოდების გრაფიკი) აღწერილი მოწოდების მოცულობისა.

4. დაინტერესებულ პრეტენდენტებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისაგან და შეამოწმონ სატენდერო დოკუმენტები ქვემოთ მოცემულ მისამართზე 10:00-დან 17:00-მდე ადგილობრივი დროით (სამუშაო კვირის განმავლობაში):

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია:

მისამართი: 76ბ, ვაჟა-ფშაველას გამზირი

ოთახი/სართული: მე-6 სართული

ქალაქი: 0186 თბილისი

ქვეყანა: საქართველო

ელექტრონული ფოსტის მისამართი: [i.mazanishvili@water.gov.ge](mailto:i.mazanishvili@water.gov.ge); [g.matiashvili@water.gov.ge](mailto:g.matiashvili@water.gov.ge).  
[n.abuladze@water.gov.ge](mailto:n.abuladze@water.gov.ge); [kh.amilakhvari@water.gov.ge](mailto:kh.amilakhvari@water.gov.ge)

5. სატენდერო დოკუმენტების ინგლისურ ენაზე შესყიდვისათვის უფლებამოსილმა პრეტენდენტებმა:

- უნდა მიიწერონ ზემოხსენებულ მისამართზე **UWSCG-ICB-G-02-B.Loaders-2019 – მექანიზმების შესყიდვა — ექსკავატორ-დამტვირთველები** სატენდერო დოკუმენტების მოთხოვნით; და

- უნდა გადაიხადონ არაანაზღაურებადი საფასური 290 ლარის ან 100 აშშ დოლარის ოდენობით სატენდერო დოკუმენტების UWSCG ოფისში მიღებისათვის 10:00-დან 17:00 საათამდე არარედაქტირებად CD-ზე (ელექტრონული ფორმით), ან გადაიხადონ არაანაზღაურებადი საფასური 400 ლარის ან 150 აშშ დოლარის ოდენობით სატენდერო დოკუმენტების არარედაქტირებად CD-ზე (ელექტრონული ფორმატი) კურიერის საშუალებით მიღებისთვის, ნაღდი ანგარიშსწორებით ან ელექტრონული გადარიცხვით შემდეგ ანგარიშზე:

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია  
 ლსს Liberty Bank, ცენტრალური ფილიალი  
 SWIFT CODE: LBRTGE22  
 GE67LB0113123325230095 GEL  
 GE40LB0113123325230096 USD

სატენდერო დოკუმენტების მიღება შესაძლებელია UWSCG ოფისში, ნაღდი ფულით ან ელექტრონული გადარიცხვით **გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე**; ან წერილობითი მოთხოვნისა და გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე UWSCG კურიერის საშუალებით გაუგზავნის სატენდერო დოკუმენტებს დაინტერესებულ პრეტენდენტებს. UWSCG არ იღებს პასუხისმგებლობას დოკუმენტების დაკარგვასა თუ გვიან მიტანაზე. სატენდერო დოკუმენტები გაცემული იქნება მხოლოდ ელექტრონული ასლის სახით.

6. ჩააბარეთ თქვენი სატენდერო წინადადება:

- მე-4 პარაგრაფში მითითებულ მისამართზე;
- წარმოდგენის ბოლო ვადამდე ან წარმოდგენის ბოლო დრეს: **2020 წ. 23 იანვარი; 16 სთ. ადგილობრივი დროით** სატენდერო წინადადების გარანტიით იმ ოდენობით, რაც აღწერილია სატენდერო დოკუმენტებში (მონაცემები).

სატენდერო წინადადებები გაიხსენება ბოლო ვადის ამოწურვისთანავე, პრეტენდენტების იმ წარმომადგენლების თანდასწრებით, ვინც დასწრებას მოისურვებს.

დაგვიანებული სატენდერო წინადადებები არ მიიღება.

7. საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია არ იქნება პასუხისმგებელი ხარჯებზე, რაც პრეტენდენტებმა გაიღეს სატენდერო წინადადებების მომზადებისა თუ ჩაბარების დროს.